1. წიგნად მიიჩნევა ძირითადი სახელმძღვანელო, დამხმარე სახელმძღვანელო და ნაშრომი (მონოგრაფია), რომელიც წარმოადგენს სამეცნიერო კვლევას მიმართულს ხელოვნების სფეროთა (თეატრი, კინო, ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება, არქიტექტურა, ქართული ტრადიციული ხელოვნებისა და ფოლკლორის, მედია, ხელოვნების მენეჯმენტი, კულტურული ტურიზმი და სხვ.) ისტორიის სხვადასხვა ეტაპის საფუძვლიანი გაანალიზებისაკენ. აგრეთვე, ხელოვნების ამა თუ იმ სფეროში, დღეს მიმდინარე თანამედროვე შემოქმედებითი პროცესების, ძიებების ამოხსნა-გაანალიზების მიზნით დაწერილი ნაშრომი. ასევე, ნაშრომი, რომელიც ხელოვნების ამა თუ იმ დარგის თეორიულ საკითხებს იკვლევს. იგივე ითქმის ნაშრომზე, რომელიც რომელიმე კონკრეტული ხელოვანის (მსახიობი, რეჟისორი, დრამატურგი, მხატვარი, ლოტბარი, ქორეოგრაფი, მოქანდაკე, არქიტექტორი, კინოოპერატორი და სხვა) შემოქმედებას აანალიზებს. ამრიგად, წიგნად ჩაითვლება როგორც ისტორიული, ისე თეორიული, პრაქტიკულ-შემოქმედებითი პროცესების გამოკვლევა-გაანალიზების მიზნით დაწერილი ორიგინალური ნაშრომი ან თარგმანი.

საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული კრიტერიუმების მიხედვით, ნაშრომი აღჭურვილი უნდა იყოს სათანადო სამეცნიერო-კვლევითი აპარატურით, შესაბამისი კომენტარებისა და საძიებლის დართვით.

2. ნაშრომის უმთავრესი პირობაა, რომ ის უნდა იყოს ორიგინალური, თვითმყოფადი, ინდივიდუალური. მასში, ნათლად უნდა ჩანდეს ავტორის დამოუკიდებლად აზროვნების, ანალიზისა და მეცნიერული დასკვნების გამოტანის უნარი. ყველა სახის პლაგიატობა ყოვლად მიუღებელია. ამ კუთხით, განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ რეცენზენტებსა და რედაქტორს.

თარგმანის შემთხვევაში, აუცილებელია საავტორო უფლების გათვალისწინება, არსებული კანონმდებლობით.

3. ნაშრომის ავტორი კარგად უნდა იცნობდეს საკვლევი თემის შესახებ არსებულ წყაროებს. ერთი მხრივ ბეჭდურ, მეორე მხრივ კი ელექტრონულ - ინტერნეტ მასალებს. ნაშრომში უნდა ჩანდეს მათი ღრმა ცოდნა, არსებული მასალის გააზრება - გაანალიზება. მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული ყველა გამოყენებული წყაროს ზუსტი მონაცემები.

4. სამეცნიერო ნაშრომი აუცილებლად უნდა ეხმიანებოდეს უნივერსიტეტში არსებული სამსაფეხურიანი (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) სწავლების რომელიმე საფეხურის სასწავლო პროგრამაში შემავალ ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხს.

5. ნაშრომის სუფთა ტექსტი (გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალისა და ილუსტრაციების გარეშე), A5 ფორმატის შემთხვევაში, მინიმუმ უნდა შედგებოდეს 100 სტამბურად ბეჭდური გვერდისაგან. A4 ფორმატისას კი 80 სტამბურად ბეჭდური გვერდისაგან.

წიგნის ელექტრო ვერსიის შემთხვევაში, 1 გვერდის მოცულობა განისაზღვრება სტამბური წესით დაბეჭდილ წიგნში, ერთ გვერდზე დატეული ასო ნიშნის რაოდენობით.

6. ნაშრომის მოცულობის ხელოვნურად გაზრდის მიზნით, წიგნი არ უნდა იყოს აწყობილი ტიპოგრაფიაში მიღებული, ამა თუ იმ ტიპისა და მოცულობის სტანდარტულისაგან განსხვავებული შრიფტით.

7. ზემოაღნიშნულზე მცირე მოცულობის ნაშრომი ბროშურად ან ბუკლეტად ჩაითვლება.

8. წიგნი, რომელშიც საავტორო ტექსტი 5 გვერდზე ნაკლებია, ჩაითვლება ავტორის სტატიად. გარდა იმ შემთხვევისა თუ ამ ტექსტის ავტორი თავად ალბომის ან ბუკლეტის შემდგენელია.

9. აკადემიური პერსონალის გამოსავლენად ჩატარებული კონკურსის დროს, ფაკულტეტის საბჭოზე მხარდაჭერილი წიგნი, რომელიც სტამბაში დასაბეჭდადაა ჩაშვებული, ავტორს წიგნთა რაოდენობაში ეთვლება.

საგამომცემლო საქმიანობის პრიორიტეტები, რომელიც საუნივერსიტეტო პრიორიტეტებთანაა მოყვანილი შესაბამისობაში.

სასწავლო - საუნივერსიტეტო ლიტერატურის სახეები

1. სახელმძღვანელო - სახელოვნებო მეცნიერების, კონკრეტული დარგის, ცოდნის მწყობრი სისტემის – დისციპლინის - ძირითადი სასწავლო წიგნი, დაწერილი სათანადოდ აპრობირებული პროგრამის შესაბამისად, მაღალ მეცნიერულ და მეთოდოლოგიურ დონეზე.

2. ლექციების კურსი - კონკრეტული დისციპლინის თეორიული ან პრაქტიკული კურსის გადმოცემა, დაწერილი სათანადოდ დამტკიცებული და აპრობირებული პროგრამის შესაბამისად მაღალ მეცნიერულ და მეთოდოლოგიურ დონეზე.

3. დამხმარე სახელმძღვანელო - მოცემული დისციპლინის ცალკეული ნაწილის, «ნაწილების» გაღრმავებული შესწავლისათვის;

სასწავლო წიგნი - თეორიული ცოდნის განმტკიცებისა და გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის განკუთვნილი ქრესტომათია, ტექსტები და სხვა.

მონოგრაფია - კონკრეტული (სახელოვნებო) მიმართულების სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომი.

კრებულები: ამოცანების, მაგალითების, სავარჯიშოების, ტესტების, პრაქტიკული სამუშაო აღწერილობებით, პროექტირების სავარჯიშოებით;

4. საცნობარო ლიტერატურა - ენის სასწავლო ლექსიკონები, განმარტებითი და ენციკლოპედიური ლექსიკონები, საკითხავი მასალა, ალბომები, ცხრილები და ა.შ.

5. ყველა ამ ტიპის გამოცემათა თარგმანები უცხოური ენიდან; სხვა ქვეყნებში აპრობირებული სახელმძღვანელოები.

6. საბაკალავრო, სამაგისტრო და დოქტორანტურის პროგრამები, კურიკულუმები, სასწავლო დისციპლინების სილაბუსები და ამ ტიპის სხვა მასალები, დადგენილი წესით შემუშავების შემდეგ, გამოიცემა დაკვეთის წესით, უნივერსიტეტის ფაკულტეტების მიერ, მათი საერთო დაფინანსების ფარგლებში, ხოლო კრებითი გამოცემები - საუნივერსიტეტო დაფინანსების ფარგლებში;

ყველა ამ გამოცემის მიმართ წაყენებული იქნება საუნივერსიტეტო მოთხოვნები სამეცნიერო აკადემიური გამოცემისათვის. თითოეული სახელმძღვანელო აპრობაციას გადის უნივერსიტეტის ფაკულტეტის საბჭოებზე და უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოზე, რომლის დადგენილების მიღების შემდეგ წიგნი დასაბეჭდად გადაეცემა უნივერსიტეტის გამომცემლობას.

ავტორთა ყველა სხვა შრომა ან ნარკვევების კრებული, რომლებიც არ შეესაბამება ზემოთ ჩამოთვლილ პუნქტებს, ვერ ჩაითვლება სახელმძღვანელოდ;

II სასწავლო ლიტერატურის მიმართ წაყენებული მოთხოვნები.

1. უნდა წარმოადგენდეს განათლების მიღების და ცოდნის ძირითად წყაროს კონკრეტულ სასწავლო დისციპლინაში;

2. უნდა იძლეოდეს სტუდენტთა მიერ ცოდნის დამოუკიდებლად ათვისების შესაძლებლობას;

3. უნდა წარმოადგენდეს ცოდნის სისტემას და არა მის ერთობლიობას;

4. მასალა ისე უნდა იყოს გადმოცემული, რომ გათვალისწინებულ იქნას ცოდნის ათვისების პედაგოგიური და ფსიქოლოგიური თავისებურებანი;

5. უზრუნველყოფილი იყოს მოცემული დისციპლინის სწავლების მოტივაცია;

6. წარმოჩენილი უნდა იყოს პრობლემური საკითხები და მეცნიერების სათანადო დარგის განვითარების პერსპექტივები;

7. გათვალისწინებული უნდა იყოს მონათესავე დისციპლინათა არსებულ სახელმძღვანელოებში - ლექციების კურსებში, გზამკვლევებში, სარეკომენდაციო-მეთოდოლოგიურ ლიტერატურაში - გადმოცემული დასკვნები და ტერმინოლოგიები;

8. გათვალისწინებული უნდა იყოს მოცემული დისციპლინის როლი და ადგილი ბაკალავრის ან მაგისტრის მომზადების მთელ სისტემაში;

9. დისციპლინის მოთხოვნილებისამებრ, შეძლებისდაგვარად, მაღალ დონეზე უნდა იყოს შესრულებული საილუსტრაციო მასალა;

10. სახელმძღვანელოს (ლექციების კურსის) მოცულობა დისციპლინის ადგილისა და დროის შესაბამისი უნდა იყოს და შეეფარდებოდეს კრედიტების იმ რაოდენობას, რომელიც მოცემული კურსის შესასწავლადაა გამოყოფილი. შესაძლებელია სახელმძღვანელო იმგვარად აიგოს, რომ მან მოიცვას ერთსა და იმავე დისციპლინაში კრედიტების სხვადასხვა რაოდენობისათვის გათვალისწინებული კურსები;

11. საპროგრამო მასალა უნდა დაიყოს მეთოდოლოგიურად გამართლებულ სტრუქტურულ ელემენტებად: ნაწილებად, თავებად, პარაგრაფებად (ლექციებად);

12. ძირითადი ტექსტობრივი მასალა და საცნობარო - თანმხლები აპარატი, სასურველია დალაგდეს შემდეგი თანამიმდევრობით: სარჩევი - წინასიტყვაობა - მეთოდური რეკომენდაციები - ძირითადი ტექსტი - დასკვნა - დამატება - საძიებელი - ანოტირებული და სათანადოდ კლასიფიცირებული რჩეული ბიბლიოგრაფია, სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურის გამოყოფით, ინტერნეტ რესურსების მითითებით;

III სასწავლო ლიტერატურის წარმოდგენის, განხილვისა და გამოცემის წესები:

1. ავტორმა ან ავტორთა კოლექტივმა, სასწავლო ლიტერატურის გამოცემასთან დაკავშირებით, შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოში უნდა წარადგინოს:

1.1. პროექტის აღწერა. დამტკიცებულ კურიკულუმებთან და სასწავლო პროგრამებთან მიმართების ანალიზი;

1.2. პროექტის სარჩევი;

1.3. შედარებითი ანალიზი ანალოგიურ, მათ შორის საზღვარგარეთულ, გამოცემებთან;

1.4. მეთოდური მითითებანი, სავარაუდო აუდიო, ვიდეო და სხვა დამატებითი მასალის მითითებით;

1.5. ერთ-ერთი ძირითადი თავი (შესავლის, საგნის განსაზღვრის, მისი ისტორიული განვითარების და მეთოდის გარდა);

1.6. მარკეტინგული შეფასება (ნუსხა სასწავლო დაწესებულებებისა და დარგების - ვისთვისაც არის განკუთვნილი; დაინტერესებული სამეცნიერო საზოგადოებების და დაწესებულებების ნუსხა და სხვა);

1.7. სასურველი რეცენზენტები (3-5, სახელი და გვარი, მისამართები);

1.8. არასასურველი რეცენზენტები (სახელი და გვარი)

(ან შესაძლებელია 1.7 და 1.8 მაგივრად სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის - სამეცნიერო საბჭოს აპრობაცია და ოქმის ამონაწერი);

1.9. CV, პუბლიკაციების საერთო რაოდენობა, ათამდე რჩეულის მითითებით;

2. ფაკულტეტებმა და სამეცნიერო კვლევითმა ინსტიტუტმა, ყოველი კალენდარული წლის დასაწყისში აკადემიურ საბჭოს (იანვრის ბოლოსთვის) უნდა წარუდგინოს წლის განმავლობაში გამოსაცემი ყველა სახის სასწავლო ლიტერატურის გეგმა-პროექტი (ანოტაცია, გვერდების სავარაუდო რაოდენობა, წიგნის ფორმატი). აკადემიური საბჭოს დადგენილება გადაეგზავნება უნივერსიტეტის გამომცემლობას, რის საფუძველზეც განისაზღვრება საბეჭდი მასალის წლიური ხარჯი.

შესაბამის პროფილური ფაკულტეტის საბჭო (ან კვლევითი ინსტიტუტის ინტერდისციპლინარულ საბჭო) მისაღებად ჩათვლილ მასალებს, გადასცემს შესაბამისი დარგის ექსპერტებს, წინასწარი ფარული რეცენზირებისათვის;

3. ფაკულტეტის საბჭო ან კვლევითი ინსტიტუტიდან, გამოყოფს ორ ფარულ რეცენზენტს, მათ შორის ერთს 1.7 პუნქტიდან, მაგრამ არცერთს 1.8 პუნქტიდან. არაუგვიანეს ორი თვისა რეცენზიების განხილვის შემდეგ (თუ ორივე დადებითია), მასალები გადაეცემა რედაქტორთა ჯგუფს. თუ ერთია დადებითი, ხოლო მეორე უარყოფითი, გაიგზავნება დამატებით რეცენზიაზე, მაგრამ არა 1.7 ან 1.8 პუნქტში მითითებულ პირთან. დადებითი დამატებითი რეცენზიის შემთხვევაში, მასალები შემდგომი მსვლელობისათვის გადაეცემა რედაქტორთა ჯგუფს. უარყოფითი დამატებითი რეცენზიის, ან ორი უარყოფითი რეცენზიის შემთხვევაში - საფაკულტეტო რედაქტორთა ჯგუფს უარყოფითი დასკვნის დასამტკიცებლად. დადებითი რეცენზიების შემთხვევაში რედაქტორთა ჯგუფი იხილავს გამოცემის საკითხს. ავტორებს უფლება აქვთ გაეცნონ უარყოფითი რეცენზიების მასალებს, რეცენზენტების გვარების მითითების გარეშე. დადებით რეცენზიებში გამოთქმული შენიშვნები, ამავე ფორმით უნდა გაეცნოთ ავტორებს, მათი შემდგომი გათვალისწინების მიზნით.

4. რედაქტორთა ჯგუფი იღებს გადაწყვეტილებას რეკომენდებული ლიტერატურისათვის გრიფის მინიჭებისა და მისი გამოცემის თაობაზე. დადებითი რეცენზიის შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს ავტორებთან დადგენილი ფორმით კონტრაქტის დადების თაობაზე, სადაც გამოცემის ფინანსური მხარეც განსაზღვრება.

5. ავტორებმა, დათქმულ დროში, უნდა წარუდგინონ ლიტერატურა რედაქტორთა ჯგუფს, რომელიც ორგანიზებას უკეთებს საბოლოო რეცენზირებას (წინასწარი რეცენზირების პროცესის ანალოგიურად) და გამოყოფს მეცნიერ-რედაქტორს. მეცნიერ-რედაქტორის შენიშვნების გათვალისწინებით ლიტერატურა კვლავ განიხილება საბჭოზე და დადებითი შეფასების შემთხვევაში გადასცემს საუნივერსიტეტო გამომცემლობას დასაბეჭდად.

6. სათანადო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, საუნივერსიტეტო რედაქტორთა ჯგუფი, ან აბრუნებს, ან თავად აგზავნის ლიტერატურას დამატებითი რეცენზირებისათვის.

7. წინასწარი და საბოლოო რეცენზირების დალუქულ მასალებს გადასცემენ უნივერსიტეტის არქივს.

8. სასწავლო ლიტერატურა უნივერსიტეტის გრიფით შეიძლება გამოიცეს ავტორების და ან სპონსორების ხარჯზე, მხოლოდ 1.5. პუნქტის აუცილებელი დაცვით.

*ელექტრონულ სამეცნიერო კრებულში - «სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი» - დაარსების წელი და სახელწოდება ყველა ნომერში უნდა იყოს ქართულ და ინგლისურ ენაზე. კრებულის ბოლოში

დაერთოს რეზიუმეები ინგლისურ ენაზე. ყოველი წლის დასაწყისში ელექტრონულ არქივში განთავსდება წლის განმავლობაში გამოქვეყნებული შრომების პდფ ფორმატში დაკაბადონებული კრებულები.

ავტორებს უნდა ეცნობოთ, რომ კრებულში გამოსაქვეყნებელი მასალა (თუ, ეს არ არის სპეციალური გამოშვება, დაკვეთილი პუბლიკაცია ან თარგმანი, უნივერსიტეტის პრიორიტეტებთან დაკავშირებული), უნდა მოიცავდეს:

- არა უმეტეს 30 000 ნიშანს. (დაახლოებით 15 თაბახი ნაბეჭდი გვერდი, შრიფტის დასახელება „სილფაინი“, ზომა - 11, ინტერვალი – 1,5;

- მასალების ჩაბარების ბოლო ვადა დადგინდეს 1 თვით ადრე ყოველი ნომრის გამოსვლამდე.